№ 261 დეკემბერი 2, სამშაბათი 1886 დეკემბერი 2, სამშაბათი № 261

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ტგრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

რადგან 30 ნოემბერს შემდგარ კრებას არ დაუსრულებია თვისი მოქმედება, ამისთვის ახლად არის დანიშნული კრება წევრთა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა“ 2 დეკემბერს, საღამოს 8 საათზედ, სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში იმავე საგნების განსახილველად, სახელდობრ: ა) ბათუმის სკოლის საქმისა, ბ) წიგნების ბეჭდვისა და გ) ახალთა წევრთ ამოსარჩევად იმათ მაგიერ, რომელთაც ქალაქ გარედ ცხოვრების გამო აღარ შეუძლიანთ მმართველობის წევრის თანამდებობის აღსრულება.

ტფილისი, 1 დეკემბერი

გერმანიის რეიხსტაგში, როგორც მოგეხსენებათ, მთავრობამ შეიტანა წინადადება, რომ რადგანაც ჩვენმა მეზობლებმა ძლიერ მოიმატეს ამ ბოლოს ხანებში ჯარიო, ჩვენ მათ წინაშე უღონონი ვიქმნებით, თუ ჩვენც არ გავიძლიერებთ ჯარსაო. ჯარის გაძლიერებას, რასაკვირველია, ფული უნდა და სწორედ ამ ფულისათვისაც მიჰმართა გერმანიის მთავრობამ თავისის მინისტრების პირით რეიხსტაგსა. თვით გერმანიელთა საყვარელმა და დიდად პატივცემულმა მოხუცმა იმპერატორმა ვილჰელმა თავის სეფე-სიტყვაშიაც და მერეც, როცა რეიხსტაგის პრეზიდენტები მიიღო, ყურადღება მიაქცია ამ ჯარის მომატების საქმეს და სთქვა, რომ ფრიად საჭიროა მაგ გზით გაძლიერება ჩვენის ჯარისა და იმედი მაქვსო მამულის-შვილობა გერმანიელთა უარს არ მეტყვის მე იმ ფულზედ, რასაც ჩემი მინისტრები მოსთხოვენ რეიხსტაგსა მაგ აუცილებელ საჭიროებისათვისაო. თუმცა ეს იმედი გამოაცხადა მოხუცებულმა იმპერატორმა, თუმცა სახელოვანმა მოლტკემ და სამხედრო მინისტრმა მთელი თავისი პირ-წყლიანობა შეალიეს ამ ჯარის მომატების საქმეს, მაგრამ რეიხსტაგში მაინც წინააღმდეგნი აღმოუჩნდნენ და დღეს ამ საგანზედ ცხარე ლაპარაკია წინააღმდეგთა და მომხრეთა შორის. თქმა არ უნდა, რომ თუ წინააღმდეგობა გათამამდა, ბისმარკი, რომელიც დღეს ჯერ შორიდამ სეირს უყურებს, ჩაერევა საქმეში და თუ ამის მორჭმულმა სიტყვამაც არ გასჭრა, თვითონ რეიხსტაგს დაითხოვს და ახალს არჩევანს დაჰნიშნავს. ეს უკანასკნელი ძალიან გულითაც არ უნდათ გერმანის ბედის გამგეთა, რადგანაც ახალი არჩევანი ბევრს დროს მოითხოვს და მთავრობა კი ძალიანა ჰჩქარობს ჯარის გაძლიერებასა. მაგრამ მეტი რა გზა იქნება, თუ ეხლანდელმა რეიხსტაგმა ბოლომდე ურჩობა გაუწია!... იმედი კი აქვთ, რომ ბისმარკი ამ ურჩს რეიხსტაგსაც თავს საიდაც უნდა, იქით უზავს; ლაპარაკით დაღლის, მერე თვითონ ჩაერევა და თავის სიტყვას გაიყვანსო.

ჩვენ ეს გარემოება იმისთვის მოვიყვანეთ, რომ გვენიშნებინა რა რიგად იქცევა ხელ-მოჭერილი პარლამენტი გერმანიისა ამ მეტად საჭირო საქმეში. ეს ურჩობა იქ, საცა ქვეყნის მშვიდობით ყოფნაზეა საქმე მიმდგარი და გერმანიის დღეგრძელობისა და უშიშროებისათვის წამოყენებული, იმასა ჰნიშნავს, რომ გერმანიის ერს, თუ სრულ არა, ნაწილს მაინც, მოსწყინდა პოლიტიკა „სისხლისა და რკინისა“, რომლითაც შეუმდრკალმა ბისმარკმა იჩინა თავი. ზოგნი ამასაც კი ამბობენ, ვითომ რეიხსტაგი განგებ ურჩობსო, რომ იძულებულ გაჰხადოს ბისმარკი საქმეში ჩამოერიოს და რაკი ჩამოერევა, უნდა თუ არ უნდა, ეხლანდელ საპოლიტიკო საქმეთა მსვლელობაზედ აზრს გამოვათქმევინებთო. თორემ მისი დუმილი მაშინ, როდესაც მთელი ქვეყანა პირში შესცქერის,—აბა რას იტყვისო,—მეტად მძიმედ უღირს მთელს ქვეყნიერობას საზოგადოდ და გერმანიას ცალკედ. ყოველი ნიშნებია, რომ ბისმარკს არა ჰსურს ახსნას ბეჭედი დუმილისა თვისთა ბაგეთა, რადგანაც საქმეთა მდგომარეობა ისეთია, რომ ამ შემთხვევაში ბისმარკმა ბეწვის ხიდზედ უნდა გაიაროს, ესე იგი, ერთსა და იმავე დროს ორს მოპირისპირეს უნდა აამოს, მერე იმისთანებს, რომელთა შორის ერთსა და იმავე საგნის გამო ერთი „ჰოს“ მოელის და მეორე «არასა». მართალია, ბისმარკი მოხერხებული გაცია, მაგრამ ეს სასწაულთ-მოქმედება იმასაც კი ეძნელება.

ესეა თუ არა, დღეს გერმანიაში იმასა ვხედავთ, რომ მისი პარლამენტი ეწინააღმდეგება სამხედროს გაძლიერებასა. ამავე დროს ამავე საგნის გამო რას ვხედავთ საფრანგეთში, რომელიც ბისმარკს თვალში ეკალსავით უზის? იქაურმა სამხედრო მინისტრმა ბულანჟემ ნახევარ მილლიარდზედ მეტი (559 მილლიონი) ფული მოსთხოვა საფრანგეთის პარლამენტს სამხედრო საჭიროებისათვის. აქაც გამოუჩნდნენ წინააღმდეგნი, მაგრამ როგორნი? წარმოიდგინეთ; ამ ფულის უზარმაზარმა სიდიდემ კი არ გამოიწვია წინააღმდეგობა, არამედ იმან, რომ ეს ფული ცოტააო. დეპუტატმა კელლერმა, რომელსაც სხვებმაც მხარი დაუჭირეს, ის უკიჟინა სამხედრო სამინისტროს, რომ ცოტას ითხოვ ფულსა, მეტი ითხოვე თორემ სხვებს ჩვენ ჩამოვუვარდებითო. გაიმართა თურმე ამაზედ ცხარე ბაასი, კინაღამ საქმე იმაზედ მიდგა, რომ პალატას უნდოდა საყვედური გამოეცხადებინა სამხედრო მინისტრისათვის, რად გვიმკრები მაგ საქმესა და საფრანგეთს უღონოდ რადა ჰქმნიო. ამ კიცხვისა და სამდურავის შიშმა ისეთს ყოფაში ჩააგდო საბიუჯეტო კამმისია, რომელმაც სამხედრო მინისტრის სიტყვისამებრ მეტი ფული არ მოითხოვა, რომ იგი კამისია იძულებულ შეიქმნა პალატის წინაშე თავი ემართლებინა და მომხსენებელის პირით აღიარა, ჩვენ ამაში არა ვართ ბრალნი, თვითონ სამხედრო მინისტრმა ბულანჟემ მეტი არ ინდომა და ჩვენ ხომ ძალად ვერ მოვახვევდით კისერზედაო. სამხედრო მინისტრმა ბულანჟემ მეტად თავი გამოიდო ამაზედ. ჩვენის მხედრობის ძალ-ღონეზედ ბევრს ნურას მალაპარაკებთო, დღეს მაგ საქმეს ვერ გაგიმჟღავნებთ, „გეხვეწებითო, სთქვა თურმე ბოლოს ბულანჟემ: ვემუდარები პალატასა, ძალად ნუ მაკიდებთ იმ მილლიონებს, რომელნიც არ ვიცი რაზედ მოვიხმაროვო“. სთქვა ეს და გაიმარჯვა კიდეც. მთელი პალატა ორის კაცის გარდა მთლად მიემხრო მინისტრს ბულანჟესა. გვგონია ერთად-ერთი მაგალითია, რომ სამხედრო მინისტრს ეუბნებოდნენ, ფული მეტი წაიღე ოღონდ საჭიროებისათვის ჯარი კარგადა გყვანდესო და მინისტრი კი ამბობდეს: არ მინდა მეტი ფული, როგორც ვართ, ისეც კარგა და ვართო. მერე როდის ამბობს ამასა? ამისთანა განსაცდელიანს დროში. ახლა შეუწონეთ ერთმანეთს ესეთი მოქმედება საფრანგეთის პალატისა და გერმანიის რეიხსტაგისა.

ერთს გერმანიულს გაზეთში სამართლიანად სწერენ, რომ საფრანგეთის გაზეთებმა რასაკვირველია, ამ ამბავს ჩაჰკიდეს ხელი, როგორც ცხადს მაგალითს მამულის-შვილობისას, რომელიც ამ შემთხვევაში გამოიჩინეს ყველა დასებმა,—რესპუბლიკის მომხრეთაც

ფელეტონი

წერილები გადაღმითგან.

წერილი მეორე

ჩემო თადეოზ, მუსიკოსები და მხატვრები იქით იყვნენ და ამ ჩვენის მიწა-წყლის შვილებსაც ველარა გაუგიათ-რა ჩვენი. ხომ გაიგონებდი, ჩემო თადეოზ, ყორღანაშვილის დაწერილს ბაიათში რომ ლეკურს უკვრენ? ამასაც რაღაც მარილი აკლია. აქ არის ყოველისფერი იმის მეტი, რაც საჭირო არის ლეკურისათვისა. ან იქმნება ვერ უკრავდნენ კარგად იმის დაწერილსა, ამისი არ ვიცი. მხოლოდ ის მიკვირს, რომ ყორღანაშვილმა თუ ვერა გაიგო-რა ჩვენის ჰანგებისა, ელიზე რეკლიუმ როგორ შეგვატყო მუსიკის უნიჭობა.

გაბედვით შეგვიძლიან ესთქვათ, რომ ევროპიულმა დაგვიხშო ბუნება და შეგვქმნა ძნელად-ღა შემგნებელი ჩვენის საკუთრებისა. იქმნება ეს იყვეს ჩვენთვის საბედნიერო, მე ამას არ მოგახსენებ, ჩემო თადეოზ; მხოლოდ მე ის მინდა ესთქვა, რო ჩვენ ჩვენი აღარ გვესმის და სხვა ვინ უნდა გავამტყუნოთ....

აი იმისი მცირედი მაგალითი, თუ როგორ არეულია ჩვენში საკრავი და ენა, ერთი გრძნობისა და გულის გამხარებელი და მეორე გონების გამომხატველი. ავიღოთ ყორღანაშვილის ბაიათი და ბ-ნ აბაშიძის „თეატრი“. როგორც პირველში, ისე მეორეში ადგილი არის ჩვენებური და სახე ქართულ-ლათინური, არეული ერთად. პირველი ცხრა ნომერი „თეატრისა“ ცხადად ამტკიცებს ჩვენს აქ ნათქვამსა, რომ ბევრ ნაირადა ვართ დამახინჯებული. პირველსავე „თიატრის“ ნუმერში ნახავთ ორს განთქმულს ლიტერატორსა: ერთს ქართველს—შოთა რუსთაველსა და მეორეს ფრანცუზს—ვიქტორ ჰიუგოსა.

ამათის აქ მოყვანილის სურათებით ალბად რედაქტორს სურდა ეთქვა, რომ მე მინდა ამ ორის განთქმულის ადამიანის ენა შეურიო ერთმანერთში და შევაერთოვო. ეს აზრი პირ-და პირა სჩანს პირველის 9 თეატრის ნუმრებიდგან:—მართლადაც ძალიან დიდი სამსახური მიუძღვის იმასა, ვისაც ფრანციზული თხზულება ქართულის ასოებით გადმოუწერია. ეს იქმნება ვიქტორ ჰიუგოს იამოს, მაგრამ არა მგონია რუსთაველმა მოიწონოს, რომ იმის სურათის ასე მახლობლად დაიბეჭდა ყოვლად წაპილწულის ქართულის ენითა „ჩვენ ლიტერატურაზე“, «თეატრი და მსახიობნი», „ბიბლიოგრაფიული შენიშვნა“ და სხვანი. აშტარხნელის სომხების ენა ამ თხზულებათა ენასთან საკვეხარია. განა ჰღირს, ჩემო თადეოზ, რომ იმ მცირე აზრების სათქმელად, რომელიც ამ ნომრებში არის ნაამბობი, ასე გაიბრუნდოს ადამიანმა თავისი დედაენა? არა მგონია ამის შემდგომ ზოგიერთი ქართული სათეატრო თხზულება, რომელშიაც სომხებს დასცინოდნენ ხოლმე, საჭირო იყოს ეხლა; პირველი ცხრა ნომერი „თეატრისა“ წაიკითხოს სახალხოდ მსახიობმა და ვგონებ, რომ საკმარად შესაქცევარი უნდა გამოვიდეს.

—

გასაოცარი ახალი ქართული ენა გამოდის, ჩემო თადეოზ, რომ დააკვირდე „თეატრის“ მთხზველებსა.

> პარიჟს დაჰბერა რეაქციამ.
> თებერვლის რევოლიუციის იდეების წინააღმდეგი.
> ამ პიესას სათაურად ჰქონდა ცნობილი პრუდონის პარადოქსი.
> გვილი სატანის როლი
> აი საქმე რა არის.
> კლერვილმა დაიწყო მადლობის გადახდა.
> წარემატა ხელი პიესის წარმატებასა.
> ლიტერატურა არის გამოხმობა ცნობილი ხალხის ცხოვრებისა.
> ადვილად გარდავიდეთ ლიტერატურის სხვა ნაწილებზე, და სხვ.

ქალაქში მცხოვრებელ სომხებს დასცინიან ხოლმე „იმან მოვიდა“-ო. აბა რითი სჯობია ამ სომხურ-ქართულსა ეს თქმა:

> კაცმა სულ სხვა გვარად უნდა შეხვდეს ხვალინდელ დღეს.
> მოსურნეს არ შეეძლოს გაეცნოს მათ.
> მაინც დაათავა დაწყობილი არიაო.

ბევრს ამისთანასა და უარესსაცა ენახავთ, რომ დაუკვირდეთ. ამათდა გარდა იმ ეკატერინე გაბაშვილის თხზულებაშიაც, რომელსაც ზედ აწერია «მონარდენი», შეხვდებით აგრეთვე ახალ ქართულსა:

„მრავლობამ ყური არ ათხოვა“ (ეს რუსულს ენაზე კარგად გამოდის და ქართულად კი ღმერთმა დაიფაროს)

«შუბლსაც არ ინძრევდა იმ საგრძნობელს წაგებაზე.» (ქართულად სხვა ნაირად იტყვიან ამასა).

„მაყურებლები უფრო მიუახლოვდით ჩვენს **ხამპატიეს**. (სანუკარია ვიცოდეთ, რომელი კუთხითგან შემოგვაწვიეს სიტყვა სიმპატიეს).

„ვინ დამლახვრა“ არაქელა არ იტყოდა, ვინ დამნავსას იტყოდა უთუოდ.

«ჩვენ სიცილი წაგვსქდა.“ (უნდა ითქვას წაგვსკდა, თორემ ისე გამოდის, როგორც ერთმა ქართველმა ქალმა ბრძანა, როდესაცა ჰკითხეს, სად იყავიო? ქუქიაშიო, მიუგო).

—

ჩვენი კეთილ-მოსურნე დავით სოსლანი იმასა სჩივის, რომ ქართულს ენაში არა გვაქვს ის კაცის-ჭამია მორევები და ლოდები, რომელიც იპოვებიან უცხო ენებში. იმისი სურვილი ვეჭობთ ის არის, რომ ლიტერატურაშიაც ბატონები გვყვანდნენ და ამ ბატონთა შორის დავით სოსლანის მეტმა წერა არავინ იცოდეს. ეს ბოროტი სურვილი მოგვაგონებს იმ კორტოხელსა, რომელმაც ლურსმანი იპოვა და სთქვა: ღმერთო, ამოაგდე სარკინეთიო.

ამისი მსურველი დიდის მრისხანებით შეურაცხ-ჰყოფს იმ დაცემულს, რომელიც ჩვენთან სალაპარაკოსა და სათქმელსა „ახალ მიმოხილვის“ შემწეობით გვეუბნება და თავზედ კაკალს გვამტვრევს, თუმცა ჯერ ჩვენთვის ჭკუა არ უსწავლებია. ასე ჰგონია იმ დალოცვილსა, რომ ჩვენი ბავ-

და მათთა მოპირდაპირეთაც. გენერალი ბულანჟე ეხლა ყოველის მხრით მარტო ქებასა და დიდებასდა ისმენს. თვით მონარქიელთა გაზეთებიც კი აქებენ და ადიდებენ მამულის-შვილურ მოქმედებას ბულანჟესას, რომელიც, როგორც რადიკალი კლემანსოს მოძღვრებისა, აქამდე თვალში ვერ მოსდიოდათ დღეს ბულანჟე მთელს საფრანგეთს პირზე აკერია და დღეს არა გვგონია საფრანგეთში სხვა კაცი ვინმე იყოს, რომ ბულანჟესთანა სახელი და აბრუ ჰქონდეს ხალხში.

ახალი ამბავი

⁂ ხუთშაბათს, 4 დეკემბერს ჩვენი სათეატრო დასი წარმოადგენს სარდუს სამ-მოქმედებიანს პიესას: „გავიყარნეთ.“

⁂ კვირასა 30 ნოემბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში საგანგებო კრება იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრთა. კრებას სჯა ჰქონდა ბათუმის სკოლის თაობაზედ და გადასწყვიტა, რომ ბათუმის სკოლა საზოგადოებისა ჯერ-ჯერობით კიდევ არსებობდეს მაისამდეო. რადგან ამ საგანზე ბაასმა და სჯამ დიდი დრო მოინდომა, დანარჩენს საგნებზე კრება განაგრძობს სჯას დღეს, იმავე ბანკის სადგომში, საღამოს რვა საათიდამ. ამ დანარჩენ საგანთა შორის უფრო საყურადღებო იქმნება წიგნების ბეჭდვის საქმე საზოგადოების-მიერ.

⁂ ამ დღეებში მის ყოვლად-უსამღვდელოესობას მთავარ ეპისკოპოსს პავლეს, ეგზარხოსს საქართველოისას, დაუსინჯავს ყველა სასულიერო სასწავლებელნი ტფილისისა და ამბობენ ს.-პეტერბურგს აპირობს წაბრძანებას, რადგანაც უწმინდაესს სინოდს დროებით მიუწვევია სხვა-და-სხვა საგნების გარჩევის დროს დასასწრებლად.

⁂ ბარათაანთ მამულში აღმოჩენილი შავი-ქვა ძალიან კარგის თვისებისაა თურმე. ქიმიურად გაუსინჯავთ ეს ქვა გერმანიაში კომლენზის ქალაქში და უთქვამთ, რომ 50,89% წმინდა მარგანეცი ურევიაო და ფოსფორი 0,038%. რაც უფრო ცოტა ურევია ფოსფორი შავს-ქვას, მით უფრო ემატება ღირსება. თუ ფოსფორი ბევრი ურევია, შავი ქვა მაშინ თურმე აღარ ვარგობს ფოლადის საკეთებელ ქარხნებზე და სხვა დანიშნულება ეძლევა. ბარათაანთ მამულის შავი-ქვა ტფილისშიაც იქმნა გასინჯული ქიმიურად და აღმოჩნდა რომ 49,70% წმინდა მარგანეცია, ხოლო ფოსფორი 0,028%, 8,050% კიდევ დაჟავმბადებული რკინა და სხვ. შორაპნის მაზრის შავს ქვაში 55% წმინდა მარგანეცია, ხოლო ფოსფორი 0,020% ურევია. ბარათაანთ მამულში კიდეც დაუწყვია მუშაობა ერთს კერძო კამპანიას. საკვირველი ის არის, რომ ამ კამპანიას უფრო იაფად უჯდება თურმე შავის ქვის ამოღება და ფოთამდე მიტანა, ვიდრე შორაპნის მაზრის მადნებიდამ. შორაპნის მაზრიდამ ფოთამდე ფუთი ჯდება სულ 38 კაპ. ხოლო ბარათაანთ მადნიდამ, როგორც ამ კამპანიას გამოუანგარიშნია, დაჯდება თურმე სულ 30 კაპ.

⁂ გაზ. „С.-Пет. Вѣд.“ ამბობს, რომ წარსულს ზაფხულს საქართველოში დადიოდნენ საფრანგეთის ინჟინერები, ქიმიკოსები და არხეოლოგები ამ ქვეყნის გამოსაკვლევადაო. ამ მსწავლულთ გორის მაზრაში აღმოუჩენიათ ქვა-ნახშირის მადნებიო; სოფელ სკრაში, შალიკაანთ მამულში უპოვიათ მალაქიტის ქვა. ამ ქვის სატეხი ადგილები, ეტყობა, კარგად სცოდნიათ სოფელ სკრის უწინდელ მცხოვრებლებს, რადგან იმავე ფრანგებმა შალიკაანთ მთაშივე იპოვეს 8 ძველის ეკლესიის ნანგრევებიო, რომელთა შორის სჩანდნენ სვეტები და სურაიები მალაქიტის ქვისაგან გამოქანდაკებულნიო.

⁂ გაზ. „Рус. Кур.“-ი ამბობს, რომ იუსტიციის სამინისტროს განზრახვა აქვს წესად შემოიღოს, რომ იმ სისხლის სამართლის საქმეთა გამო, რომელიც სასამართლოში განხილულა, აღარავინ არ ითხოვოს ხოლმე შეწყალება და არ მიართვან ხოლმე ხელმწიფეს ამ აზრით თხოვნა, ვიდრე განაჩენი სასამართლოსი აღსრულებაში არ მოვა და ვიდრე მსჯავრ-დადებული არ შეასრულებს დასჯის ვადას ნასამედად მაინცაო.

⁂ გუშინწინ, 30 ნოემბერს, წმ. ანდრია პირველ-წოდებულის დღესასწაულის გამო ტფილისის სასულიერო სემინარიის შეგირდები დათხოვნილნი იყვნენ, რადგან ამ სემინარიის ეკკლესია ანდრია პირველ-წოდებულის სახელობაზედ არის ნაკურთხი. ექვსის წლის წინად დაარსდა ძმობა წმ. ანდრია პირველ-წოდებულის ძმობის სახელითა. ამ ძმობას აზრადა აქვს შეეწიოს და დაეხმაროს ღარიბ მოსწავლეთა. დაარსდა საქართველოს ეგზარხოსად ნამყოფის და დღეს მოსკოვის მიტროპოლიტის იოანიკის-მიერ. ამ ექვსის წლის განმავლობაში ძმობამ საკმაო ფული მოაგროვა თავის წევრთაგან და არა-მცირედი შემწეობა აღმოუჩინა სასულიერო წოდების ღარიბ მოსწავლეთა. ანგარიში ძმობის მოქმედებისა ცალკე წიგნად დაიბეჭდა და დაურიგდა ძმობის წევრთ.

⁂ ამ დღეებში ტფილისიდამ გაუგზავნიათ ბათუმში რკინის გზით 230 ფუთი ღვინის მარილი, რომელიც უყიდნია აქ ბერლინის ერთის სავაჭრო სახლის აგენტს. აგენტს მიუცია აქ 4 მან. 60 კაპ. ფუთ მარილში, მაშინ როდესაც ბერლინში ფუთი ჰღირს თურმე 16 და 18 მანათი, ამბობს გაზ. „ნოვ. ობოზ“.

⁂ 29 ნოემბერს, მე-10 ნაწილში ივანე ოჰანეზოვის მოსამსახურემ, გორის მაზრის მცხოვრებელმა გასიშვილმა მოჰკლა ხანჯლით ოჰანეზოვის 13 წლის ქალი შურისძიების გამო. გასიშვილი გაიქცა და იმალებოდა, მაგრამ პოლიციამ მეორე დღესვე იპოვნა და შეიპყრო.

⁂ 30 ნოემბერს, ლამე, მე-6 ნაწილში შემახიის მცხოვრებელს ალა-ალი ყურბანოვს მოჰპარა საწყობიდამ 12 ხალიჩა სპარსეთის ქვეშევრდომმა ალი-ისმაილ-ოღლიმ, რომელიც იმ ლამესვე შეიპყრო პოლიციელმა შევჩუკმა.

დამკვირდი!

დაყინების მიზეზი ჭკუა-მოკლეობაა.
(ლა როშფუკო)

**

მასვილი მართლ-მსაჯულებისა ხშირად მეტად მოკლეა ხოლმე დანაშაულის მისაწვდენად.
(დე ლევი)

**

ვისაც საკუთარი აზრი არა აქვს, იგი ყოველთვის ეპირის-პირება სხვის აზრსა.
(დე ლანგრე)

**

ბრძენი სხვათა სწავლიდეს
დიდად სჯობს დადუმებასა.
(არჩილ მეფე)

**

მე მტრად სხვანიც მეყოფიან,
ძმასა რადღა დავმტერდები.
(დავით გურამიშვილი

**

სიყვარულისა სურვილი მას
ვერ დაუთრობს გულს,
მისი სიცოცხლე ვეღარ დასტკბეს
მართლ სიხარულით,—
ვინც სოფელს მუხთალს,
საამურის ოცნებით აღვსილს
უმზერს, ვით აწ მე, მიუნდობელ
გამოცდილ თვალით.
(თ. გრ. ორბელიანი)

**

ნეტა უკავი კარდს რას აქნევს,
ანუ რა მისი ფერია!
(რუსთაველი)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

საჭიროა სოფლის სკოლები, თუ არა? მოაქვს რაიმე სარგებლობა განათლებას მდაბიო ხალხისთვის, თუ არა? ამაზედ პირ-და-პირი და გარდაწყვეტილი პასუხი უთქვამს ორ დიდად პატივცემულ, „განათლებულ რუსეთის ერობის მოღვაწეთ“, ვიდაც ბ-ნთ გარდონერს და ანენკოვს. ერთი აღმოჩენილა სარატოვის გუბერნიაში, მეორე — კურსკისაში. ორივე პატივცემული მოღვაწე, როგორც გვარწმუნებს გაზეთ „Новости“-ს ფელეტონისტი ბ-ნი ბუკვა, იმ აზრისაა, რომ „განათლება მდაბიო ხალხში ძირიანად უნდა აღმოითხვრასო“.

აი, მაგალითად, ბ-ნ გარდნერს რა შეურყეველი მოსაზრება გამოუთქვამს. გამობძანებულა ბ-ნი გარდნერი «ერობის» კრების წინაშე და უთქვამს:

> მითხარით ერთი, თუ ღმერთი გწამთ, რა საჭიროა, რის გამოსადეგია განათლება?

კრებას პასუხი ვერ მიუცია ამ მეტად რთულ და ძნელ საგანზე. მაშინ ისევ გარდნერს განუგრძვია თავის სიტყვა და დიდის გამბედაობით და სითამამით წარმოუთქვამს:

> განათლებას არამც თუ არაფერი სარგებლობა არ მოაქვს, პირ-და-პირ მავნებელია.

კრება მაინც ხმას არ იღებს თურმე და მხოლოდ ყურს უგდებს, კიდევ რა ჭეშმარიტებას აუწყებს ბ-ნი გარდნერი.

> ამიტომ, — სრულიად ლოგიკურად დაასკვნა ორატორმა თავისი აზრი, სრულიად უნდა მოისპოს სკოლებიო.

ბ-ნ გარდნერის აზრს ის ღირსება მაინცა აქვს, რომ მოკლედ არის გამოთქმული. ამიტომ ვგონებთ, სიცილი და მხიარულებაც აღუძრავს კრებაში.

შური ლაპარაკი და კინკლაობა ძალიან ეპიტნავებათ „ახალის მიმოხილვის“ მკითხველებსა.

თუმცა ბევრს ფახა-ფუხობს ბატონი დავით სოსლანი, მაგრამ ისიც კი ევროპიულს მოუხრჩევია ძალზე ასე, რომ რუსულადა ჰფიქრობს და ქართულადა სწერს.

ერთს ადგილას დავით სოსლანი სწერს:... „თავისი წინაამდეგობა ჯიბეში მუშტის ღერებით არ დაასრულოსო“...

მეორე ადგილასა:... „მაშინ გამოვიდენ ასპარეზზედ შვილები, რომელთაც უარ-ჰყვეს და დაჰგმეს მამათა საქმენი და ზეთის ხილის ყლორტით მოფრინდნენ“...

—

ჩემო თადეოზ, რა ნაირად დაგვაჰყრდა ფეხსა, დავით სოსლანი რომ ყოფილიყო მაშინ, როდესაც ამ 25 წლის წინად ქართულის ანბანითგან ცოცხით გავხვეტეთ ის ფეხ-წამოსაკრავი ცეტრები, რომელსაც ეძახდნენ ჳ, ჱ, ჲ, ჴ, ჵ, ჷ და ჶ.—აი ის ლოდები, რომელსაც თავს შეახლიდნენ ხოლმე მოსწაველენი; აი ის ლოდები, რომლების ხმარებითაც ძალიან თავი მოჰქონდათ ბევრსა. ამ ასოების ამბავს ასე გვასმენდნენ ჩვენი წინაპარნი, რომ ვითომ ეს ასოები თავდაპირველად იყო შემოტანილი ქართულში რიცხვების აღსანიშნავადა. მაგრამ ეს თუ მოგონილი ამბავი არ არის, რათა ხმარობდნენ წერაში? შეიძლება ვიფიქროთ, რომ როდესაც საქართველოში იყვნენ არაბები (ვინ არა ყოფილა საქართველოში), მაშინ ალბად ქართველებმა ზოგიერთის სიტყვის დასაწერად არაბულის ანბანითგან მიიღეს ჶ, რომელსაც ზეითგან წერტილი რომ დაუუსვათ ისეთი ხმა აქვს, როგორც ჶ-ს. შესაძლებელია უწინდელს დროში თათრულს სიტყვას ფიქრსა სწერდნენ ჶიქრსა, როგორც ჩვენი ჩინოვნიკები რუსულს სიტყვებში ხმარობდნენ ჶ. მაგრამ, როგორც ეტყობა, სხვის ასოს ქართულს წერაში ფეხი ვერ მოუკიდნია ისე, როგორც ჶ-ს. ხან მიიღებდნენ, ხან გამორიცხამდნენ და ხმარობდნენ თავის ასოს ფ, მეტადრე ბერძნობის დროსა. მართლადაც, ის ქართველი რომელმაც ქართულის მეტი არა იცის·რა, ჶ-ს ვერც-კი გამოსთქვამს. ჯერ სხვა ენის მცოდნე ქართველი მწერლებიც, რომელნიც ასე ძალიან ეტანებიან ასოს ჶ, მრავალს სიტყვაში სრულიად არა ხმარობენ ამ ასოს. მათგანი არავინ დასწერს ფილოსოფოზსა, სოფიოსა, ფიქრსა, ფეოფილაქტეს, ეფემიასა, საფრანგეთსა, ფარვანასა, ქეიფსა და სხვ. ჶ—თი. მაგრამ თუ მიადგნენ სხვა სიტყვებს, რომელნიც ჩვენ წინაპართ არ უხმარიათ, მაშინვე დაივიწყებენ მამაპაპურს ჩვეულებასა და სწერენ: ჶარსხა, აჶრიკასა, ბენეჶისსა, ამჶიტიატრსა, ჶებასა და სხვა ამისთანებსა. ხან-და-ხან შევხვდებით, რომ ერთი და იგივე მწერალი ხან ჶ ხმარობს, ხან ფ-ს. ტყუილად კი ეჭიდებიან და ეპატიჟებიან ჶ, ვგონებთ რომ ამ ასოს დამკვიდრება ჩვენში არ შეუძლიან. მეტადრე ის არის გასაკვირველი, რომ მეტისა და არა-საჭირო ასოების განდევნაში „ივერიის“ რედაქტორიც ერია და ახლა კი ასოს ჶ დიდის პატივისცემით ეპატიჟება.

უნდა მოგახსენო, ჩემო თადეოზ, რომ ის ჟამი, როდესაც ეს მეტი ასოები შემოიფანტეს, უნდა დაიდვას სადღესასწაულოდ, რადგანაც ამითი შემსუბუქდა სწავლის სიძნელე და გაადვილდა მართლ-წერა.

ქართველი ხალხი იმითი არის ბედნიერი, როგორც ამბობს ყოვლად სახსოვარი ენების მეცნიერი უსლარი (ან განსვენებული), რომ მრთელს დედა-მიწის ზურგზე არც ერთს ხალხს არა აქვს ისეთი თავის ენის შესაფერი ანბანი, როგორც ქართველებსა: ყოველს ხმასა აქვს თავისი გამოსახატავი ნიშანი. ეს უნდა მიგვაჩნდეს საკვეხარად, სულითა და გულით მონდომილები ვიყვეთ, რომ არაფრით შეგვეცვალოს და გაგვიძნელდეს მამა-პაპითგან დატოვებული ენა...

ყველამ ვიცით, რა გაჭირვებაში არიან სლავიანები მხოლოდ იმითი, რომ ვიღაცა გულ-ქვას ამათს ანბანში ჩაურთავს ერთი ასო „იატი“, რომელსაც, როგორც ჩვენს უნ-ბრჯგუდსა, არაფერი მნიშვნელობა აქვს (ერთის შემთხვევის გარდა, სადაც მისცემს განსხვავებას სიტყვებს есть—არის, არსებს და ѣсть—ჭამა), მაგრამ მახრჩობელასავით ყელში სჩრია ყველას (აი დავით სოსლანის სანატრელი მახრჩობელა. იმაზედ რომ იყვეს საქმე დამოკიდებული, ხუთს „იატს“ შეურევდა ქართულს ანბანში). ეს ასო რომ გააძევონ ანბანითგან, მრავალი ასი კაცი მოემატება იმ რიცხვსა, რომელნიც ამ ჟამად მცოდნეთ ირიცხებიან.

ვარსკვლავთ-მრიცხველიც რომ იყო, წერაში თუ ასო «იატი» თავის ადგილას არ დასვი, შენისთანა უზრდელი არსად-ღა იქმნება. ეს ისე მიიღება, თითქო არაფერი არა გცოდნია-რა.

ქართველებშიაც ასე იყო. თუ უნბრჯგუდი და მარჯვენივ ჰიე არ დაგესვა (ნამდვილი კი არავინ იცოდა), დიდად შეგუცხუნდებოდნენ ხოლმე ამ ასოების თაყვანის-მცემელნი.

—

მეორე ბედნიერება (დავით სოსლანს კი უბედურებად მიაჩნია) ქართველებისა ის არის, რომ სიტყვა იწერება ისე, როგორც გამოითქმის. მკითხველო, თუ გისწავლია რუსული, ფრანციზული (და არა ფრანგული, როგორც „ივერიაში“ სწერენ), ინგლისური, თათრული და სხვ., რასაკვირველია, ჩემი თქმა საჭირო აღარ არის თქვენთვის და თქვენვე იგრძნობთ, რასაც მოგახსენებთ. თუ არ გისწავლიათ, მოიხსენეთ, რომ ფრანცუზები და ინგლისები 10 ასოს დასწერენ და 5 გამოსთქმენ; რუსები დასწერენ ო-სა და გამოსთქმენ ბევრჯელ ისე ვითომ ა ზის; თათრები დასწერენ რამდენსამე უხმო ასოებს ერთი-ერთმანერთზედ მობმულსა და შენ თვითონ უნდა გამოიცნო, სად უნდა ჩაურთო მთელი ხმოვანი, სად ნახევარ ხმოვანი; ამას გარდა ბევრჯელ ხმოვანი და ნახევარ ხმოვანი ზეითგან უნდა დაჰყვეს სიტყვასა, ხან სტრიქონს ქვემოთგანა. ამ იკლიკანტურების დასწავლა (დავით სოსლანების სასიხარულოდ) ისეთი ძნელია, რომ ვიდრე ბავშვი ამას შეითვისებს, თავი გამოელაყება. როდესაც შეუდგება უმაღლესს მეცნიერებასა, მაშინ საკმაოდ მოქანცულია ადამიანი და ველარ უძლებს ჯაფასა. ქართველმა ადამიანმა თუ სწორე ლა-

კურსკის „განათლების მდევნელს“ უფრო საფუძვლიანად განუმარტავს თავისი აზრი. ბ-ნ ანენკოვს უკითხავს:

— რა სარგებლობა, რა ნაყოფი მოიტანა სკოლებმა?

— დიდად სამწუხარო და არა-სასიამოვნოვო.

გარდაწყვეტილად ბრძანებს ბ-ნი ანენკოვი და შემდეგ განაგრძობს:

> გლეხები სრულიად გაირყვნენ ან კი სხვას რას უნდა მოველოდნოდით სკოლებიდამ: არა, აულიათ და ვილაც გლეხის შვილს უამბობენ, ქვეყანაზე რა ამბები ხდება. ან კიდევ აი რაღაც ქარტებია:— გაუვსიათ სკოლები ამ ქარტებით, დაუჭერენ თითს ყმაწვილს და ატარებენ მთელს დედა-მიწის ზურგზე. გლეხის შვილი, ამის შემდეგ, რასაკვირველია, სრულიად ხელიდამ წასულია და სოფლისთვის გამოუსადეგარი; ქარტები ერთის სიტყვით სრულიად ჰრყვნის გლეხის შვილებს და უსაქმობას აჩვევს.

მხოლოდ ღმერთმა უწყის, რად გასწყრომია ბ-ნი ანენკოვი და რად სდევნის ასე შეუბრალებლად ქარტებს და საზოგადოდ გეოგრაფიას. ეტყობა, კრებაც ვერ მიმხვდარა ამას. ამიტომ ბ-ნ ანენკოვს ქარტებისთვის თავი დაუნებებია და პირ-და-პირ დაუწყვია ლაპარაკი:

> მერწმუნეთ, ბატონებო, რომ განათლება მხოლოდ გნებას აძლევს და ჰრყვნის გლეხობას, ჰღუპავს, საბოლოოდ ჰღუპავს სოფლებსა. განათლება, და მეტადრე ეს ქარტები ლოთობას აჩვევენ ხალხსა.

ბ-ნ ანენკოვის მტკიცე რწმუნება და «ქარტები» ისეთ-ისეთი შეურყეველი საბუთია განათლების წინააღმდეგ, რომ ჩვენ აღარა გვეთქმის-რა.

მხოლოდ ერთი კი გვაკვირვებს: ბ-ნნი გარდნერი და ანენკოვი „განათლებული“ კაცები ბძანდებიან და, თუ განათლება მართლა ასე ჰრყვნის მდაბიო ხალხსა, ნეტავი თვითონ ამათზე რა გავლენა ჰქონია განათლებას, თუ გინდ იმავე „ქარტებს“? ვგონებთ კარგად არ უნდა ემოქმედნოს!..

* * *

ეკატერინოსლავის სასამართლოში ნამდვილი ბრძენი „სოლომონ მსაჯული“ აღმოჩენილა.

აი გაზეთი „Южный Край“ რას მოგვითხრობს:

> ეკატერინოსლავში სცხოვრებს ერთი ჯავრიანი და ცხარე ქალბატონი ჩ. რომელიც ზდილობიანად ვერ ეპყრობა თავის მოსამსახურეებს. ჰყოლია ამ ქალბატონს ერთი მზარეული დედაკაცი რომელიც გაუგდია და გამოშვიდების დროს ასეთის ლაზათიანის სიტყვებით შეუმკია: შე „ლოთო“: ყბა-დაღრენილო ძაღლოვო.

«ყბა-დაღრენილს ძაღლს», ესე იგი მზარეულ დედა-კაცს სასამართლოში უჩივლია, რომ ქალბატონმა უკადრისად მომიხსენიაო. თუმცა მოწმეებმაც დაამტკიცეს, რომ ყველა ეს მართალიაო, მაგრამ ბრძენმა მსაჯულმა მაინც ასეთი განჩინება დაადგინა:

> მართალია ქალბატონ ჩ-ს თავის მოსამსახურე „ყბა-დაღრენილ ძაღლად“ აუხსენებია, მაგრამ ეს დანაშაულებად მაინც არ ჩეეთვლება, რადგანაც ჩხუბის, დროს მზვარეული დედაკაცი ძალიან აღელვებული, გაჯავრებული იქნებოდა და ადვილად შესაძლოა სახე ისე დაჰღმეჭოდა, რომ „ყბა-დაღრენილს ძაღლს“ დაჰმგზავსებოდა.
>
> მეორე გარემოებაც, რომ ქალბატონს ჩ-ს მოჩივრისათვის „ლოთი“ დაუძახნია, გამამტყუნებელ საბუთად არ ჩაითვლება, რადგან მართლ-მადიდებელი ეკკლესია არავის უკრძალავს ღვინისა და ზეთის ხმარებას„ და მაშასადამე, მოჩივარს თუ „ლოთი“ დაუძახეს, ეს სრულიად შეურაცხყოფა არ არის.

ამიტომ მსაჯულს ქალბატონი ჩ. პასუხის-გებიდამ სრულიად გაუნთავისუფლებია.

სოლომონ ბრძენი არ არის ეს მსაჯული?...

◆

უცხოეთი

ბოლგარია. გაზ. „Новости“-ს დეპეშათ აუწყებენ:

— ხმა იყო, ვითომ პრინცი ალექსანდრე ბატტენბერგი მაიორ რიზიდელთან ერთად იუგენჰეიმითგან ინგლისში წავიდაო. პეშტათგან კი იწერებიან, რომ პრინცი ალექსანდრე პირ-და-პირ ბოლგარიაში მიდისო.

— სარეგენტო მთავრობას ბოლგარიისას იმედი აქვს, რომ დეპუტაციას ნებას მისცემენ პეტერბურგში წავიდესო.

— ოსმალეთის მთავრობას დარიგება მიუწერია ყველა ოსმალეთის ელჩებთან ევროპიის დიდ სახელმწიფოებში, რომ ბოლგარიის დეპუტაციას გულ-გრილად მოექცითო.

— სერბიის მინისტრ-პრეზიდენტი გარაშანინი დაჰპირებია ბოლგარიის დეპუტაციას, რომ ვენის ბევრ მაღალ-ხარისხოვან კაცებთან წერილებს გაგატანთ და ვთხოვ, რომ შემწეობა აღმოგიჩინონო.

— „კელნის გაზეთი“ ამბობს: დიდად შესაძლებელია, რომ თავად ვოგარიდეს, ალეკო-ფაშის ძმის-წულის, კანდიდატობამ გაიმარჯვოს ბოლგარიაშიო. ჯერ პრინც ალექსანდრეს ბატტენბერგის ბოლგარიის მთავრად ამორჩევამდე, ლაპარაკი იყო ვოგარიდეს მთავრად ამორჩევაზეო. ვოგარიდეს დიდი შეძლება აქვს და დიდ-ხარისხოვან კაცებთან არის დანათესავებული; ამის გამო დიდი გავლენა ჰქონდა ვოგარიდეს ბოლგარიაში, ვიდრე ალეკო-ფაშა აღმოსავლეთ-რუმელიის გენერალ-გუბერნატორად იყო. «კელნის გაზეთის» ვენელი კორრესპონდენტი ამბობს, რომ ალეკო-ფაშის თანამდებობითგან გადაყენებას რუსეთს აბრალებენ და შეიძლება ამ გარემოებამ თავად ვოგარიდეს უფრო გაუკეთოს საქმეო. ვოგარიდები მართლ-მადიდებელნი და ბოლგარიის მკვიდრნი მცხოვრებელნი არიან. თავადობა ვოგარიდეებს მიუღიათ ალეკო-ფაშის მამის დროს. სულთანს ალეკო-ფაშას მამა კუნძულის სამოსის მთავრად დაუნიშნავს და თავადობა მიუცია. ამ ჟამად თავადი ვოგარიდი 40 წლის კაცია. ვოგარიდი ჯვარ-დაწერილი იყო განსვენებულ გნეინა სტურძაზედ და ამ მხრივ ნ-ნ გირსს ნათესავად მოხვდებაო.

— პეტერბურგითგან აუწყებენ ბერლინის გაზ. «Vossische Zeitung»-ს, რომ რუსეთის მთავრობას გარდაწყვეტილი აქვს, რომ ყოველი ღონე იხმაროს დიდთა სახელმწიფოთა წინაშე და სამეგრელოს თავადი ნიკოლოზი ბოლგარიის სამთავრო ტახტის კანდიდატად ამოარჩევინოსო. ამის მიზეზი ბოლგარიის რეგენტების-მიერ დიდთა სახელმწიფოებთან დეპუტაციის გაგზავნაა. პეტერბურგში იმ აზრისანი არიანო, ამბობს კორრესპონდენტი, რომ დეპუტაციის გაგზავნას საგნად დიდთა სახელმწიფოთა მომხრობა და ბატტენბერგის ხელ-ახლად ბოლგარიის მთავრად ამორჩევა აქვსო.

ავსტრი-ვენგრია. ვენითგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Новое Время“-ს, რომ ბოლგარიის სარეგენტო მთავრობა მზად არის რუსეთის სურვილი აასრულოსო. როგორც ამბობენ, სარეგენტო მთავრობამ ბოლგარიისამ დეპეშით მისწერა დიდ საერო კრების დეპუტაციას, რომ როცა ვენაში მიხვიდეთ, რუსეთის ელჩი თავადი ლობანოვ-როსტოვსკი ნახეთ და სთხოვეთ, რომ გიშუამდგომლოთ რუსეთის მთავრობის წინაშე და პეტერბურგში წასვლის ნება აგართვათო.

— ბოლგარიაში ამტყდარა ლაპარაკი, რომ პრინცი ბატტენბერგი მოვიწვიოთ და ხელ-ახლად მთავრად ამოვირჩიოთო. ამბობენ, ბოლგარები იმიტომ იქცევიან ასე, რომ უნდათ ბატტენბერგის ხელახლად მოწვევით ახალი კანდიდატი დაანიშვნინონ სამეგრელოს თავად ნიკოლოზის მაგივრადაო. გაზეთებში ზოგნი კიდევ იმას ამბობენ, ვითომ ბოლგარიის სარეგენტო მთავრობას გარდაწყვეტილი აქვს: დაბრუნდება თუ არა ბოლგარიაში დიდ სახელმწიფოებთან გაგზავნილი დეპუტაცია, დიდი საერო კრება მოიწვიოს და ახალი მთავარი ამოარჩევინოს, რადგან პრინცმა ვალდემარმა უარი განაცხადა მთავრად ყოფნაზეო.

— პეშტითგან სწერენ გაზ. „Новое Время“-ს: ხვალ უნდა მოვიდეს აქ ბოლგარიის დეპუტაცია ბელგრადითგან. პეშტში ამ ჟამად იმის მზადებაში არიან, თუ როგორ უნდა დავუხვდეთ დეპუტაციასაო. ამბობენ, რომ მინისტრ-პრეზიდენტი ტისსა მიიღებს დეპუტაციას, გამოჰკითხავს, თუ რა მდგომარეობაშია ამ ჟამად ბოლგარია და დარიგებას მისცემს, შემდეგში როგორ უნდა მოიქცნენო.

პრუსია. „Statistisehe Correspondenz“-ი სწერს, რომ 1885 წლის 1 დეკემბრის აღწერით, პრუსიის სახელმწიფოში სულ 28,318,458 სული მცხოვრებელია: 13,893,599 მამათა სქესისა და 14,424,859 დედათა სქესისა. სარწმუნოებითა, სახარების აღმსარებელი 18,243,587 სულია; კათოლიკე — 9,621,624; ქრისტიანენი — 853,020; ებრაელი — 366,543 და 3,684 სული იმისთანა, რომელთ სარწმუნოება ვერ გაუგიათ. პრუსიის ქვეშევრდომი სულ 27,841,137 სულია, პრუსიის მოკავშირე სახელმწიფოთა ქვეშევრდომი 319,192 სული სცხოვრობს პრუსიაში, სამზღვარ-გარეთის მცხოვრებელი 156,969. ამას გარდა 1,160 კაცის ისეთი სცხოვრებს პრუსიაში, რომელიც ჯერ არ იციან რომელის სახელმწიფოს ქვეშევრდომები არიანო.

დეპეშა

29 ნოემბერი

ბენდერი. აქ გაასამართლეს ბრბო მცარცველ აგაზაკ ურიებისა, რომელთაც ნიღაბი ჰქონდათ თურმე გაკეთებული და ისე ხცარცვავდნენ ბეხარაბიასა და მის ახლო-მახლო ადგილებში ხალხს. სასამართლომ 15 კაცს კატორგა გადაუწყვიტა: 10 კაცს ოცის წლით და დანარჩენს უფრო მოკლე ვადით.

პარაკი იცის, იმას ანბანის დასწავლის შემდგომ შეუძლიან მართლ-წერა; მაშინ, როდესაც მდაბიო ხალხი ფრანციზულის მართლ-წერის ღირსი თავის დღეში არ შეიქმნება. ხშირად შეხვდები თათრის მოლლასა, რომელიც თავის დაწერილს ზევრჯელ მარდად ვერ წაიკითხამს და სხვის დაწერილს ხომ თქმა არ უნდა.

ქართულის ენის კანონის წინააღმდეგად ჩვენი ევროპიულისაგან მამხრჩეალნი უცხო ქვეყნის სიტყვებს ხშირად სწერენ ისე კი არა, როგორც გამოითქმებიან, არამედ ისე, როგორც სხვა ენაზედ იწერება; მაგალით., გეოგრაფიის მაგივრად (ვინ იცის რისთვის) სწერენ ღეოღრაფიასა; გუბერნატორის მაგივრად ღუბერნატორსა; ტრაგი-კომედიის მაგივრად ტრაღი-კომედიასა, ოკოშკასა, ვოდეეილსა და სხვ.

რის მიზეზით, ეს არ ვიცით და ბევრს სემენარიაში მსწავლულებსა, მეტადრე უწინ, ჰქონდათ წარმოდგენილი, რომ რუსულს ენაში г გამოითქმის ისე, როგორც ქართული ღ, და ბრალიანად-და-უბრალოდ г-ს მაგივრად, რომელიც ქართული გ-ით გამოითქმის, ხმარობენ ღ-სა და გამოდის ღეოღრაფია, ტრაღედია და სხვ.

ვგონებთ, რაც მწერლობისა და სალაპარაკო ენა ერთი-ერთმანერთს დაუახლოვდებიან, მით უკეთესი არის (ამისი წინააღმდეგი იქმნებიან მხოლოდ დაეით სოსლანები). მაშასადამე, ჩემო თადეოზ, ჩვენი საწადელი და სამარადისო სანუკვარი ის უნდა იყვეს, რომ არაფრით არ დაშორდეს სალაპარაკო და მწიგნობრობის ენა. მაგრამ ამაშიაც ერთი რაღაცა ხუშტური სჭირთ ზოგიერთს მწერლებსა. ერთი-ერმანერთის ლაპარაკში ხმარობენ **ის**, **ისინი**; იმან, იმათ, თავისი და სხვ. და როგორც აიღებენ ხელში კალამსა, მაშინ რაღაც ბიძგი მოუვლიან და ამპარტავნულად სწერენ: იგი, იგინი, მან, მათ, თვისი და სხვ. რა არის ამისი მიზეზი, მე ვერ მიმხვდარვარ, თუმცა, ჩემო თადეოზ, შენ კი კარგად გეცოდინება.

ერთის მხრით ჩეჩქიეით გვაყრიან თავსა და კისერში მრავალს ახალ-ახალ შემოსულს აზრებსა, ლათინურ-ბერძნულს სიტყვებსა, არც კი გვკითხვენ, შეგვიძლიან მოვინელოთ თუ არა; არც იმასა ჰფიქრობენ, რომ სხვა ქვეყნის სიტყვების ლექსიკონი შეადგინონ, და მეორეს მხრით თავს გვახვევენ გულ-ალმა გადმობრუნებულს ქართულს სიტყვებსა და ამასთან თითქო მოწიწებით უყურებენ ჩვენს უწინდელს მწერლებსა, რომელნიც ხმარობდნენ სიტყვებს იგინი, იგი, მან...

—

ჩემო თადეოზ, ეს ჩემი მოხსენება სულ არაფერია იმასთან, რაც ამ უკანასკნელს დროში ძველი სევდები აგვიშალა ყოვლად პატივცემულმა ილია ხონელმა. ეს დალოცვილიც დაუბრუნდა უწინდელ ქართველ ჩინოვნიკების ჩვეულებასა, რომელნიც ძალიან სცდილობდნენ ჩვენს ენაში შემოეტანათ ახალი კანონები, სრულებით წინააღმდეგი ჩვენის ენისა. ბუნების წინააღმდეგად იმათა სურდათ ერთის სქესის სიტყვა გადაექციათ მეორე სქესისად ბოლოზედ ერთისა, ანუ ორის ასოს მომატებითა. ეს სურვილი მეტად ცხადად გამოიჩინა კალმასობის დამწერმა. ამას რუსეთში ენახა, რომ რუსები თავადს ეძახიან კნიაზსა და თავადიშვილის ცოლსა კნიაგინიასა, დაფიქრდა ამაზე, ეს გარჩევა რატომ ქართველებსაც არა გვაქვსო, ადგა და თავადიშვილის ცოლს დაარქვა თავადინა. კარგია რომ ეს ამბავი ვერავინ გაიგო, თორემ, რა ჩიჩინი უნდა ამას, წაჰბაძავდნენ და მივიღებდით ახალ სიტყვას თავადინასა ისე, როგორც ეხლაც ეძახიან მთავრის ცოლს მთავრინასა.

პოლიციელმა ქართველმა ჩინოვნიკებმა უფრო წარმატებაში შეიყვანეს ჩვენი ენა და სწერდნენ ხელმწიფე— ხელმწიფავ, მეფე—მეფა; ვითომ ერთი იყო მამრობითი სიტყვა და მეორე მდედრობითი. ხალხმა არ უგდო ამას ყური, მით უმეტესად, რომ უწინ გაზეთების ბეჭდვაზე ნაკლებად გახლდით. იმათი მოგონება მიეცა დავიწყებასა, მაგრამ უპატივცემულესმა ი. ხონელმა ეს დავიწყებული ამბავი გაახლა.

ჩემო თადეოზ, თუ გინდა, რომ მამრობითი სიტყვა გადააქციო მდედრობითად, ამას დიდი ჯაფა და წავლება არ უნდა, მხოლოდ ერთი ასო რომ მოუმატო, მაშინვე კაცი ქალად გადაიქცევა და მამალი დედლად. აი ასე:

მამრობითი	მდედრობითი
ხელმწიფე	მეფა
მთავარი	მთავრინა
მამალი	მამალა, ან მამალინა
ერკემალი	ერკემალინა
ხონელი	ხონელა
ერკემალი	ერკემალა
კამბეჩი	კამბეჩინა

ბატონის ნასიძის გრამმატიკა თუ გეიშველის რასმე, თორემ წახდა საქმე, ძალიან დაგვარეტიანა „ევროპეიზმობამ“.

ეს ხუმრობა იქით იყვეს, ჩემო თადეოზ, და რამდენის კარგის საქმის გაკეთება შეეძლოთ ამ ორს კაცსა ე. ი. დავით სოსლანსა და ილია ხონელს, რომ წვრილმან საქმეს არ მისდევდნენ. უნდა აღვიაროთ, რომ იმათის კალმის ძალა ამ წვრიმალ ნაწერებითგანაც კარგადა სჩანს. ეს ორნი ამტკიცებენ იმასა, რომ ქართულის ენითაც ითქმის ეხლანდელი აზრი, მაგრამ ეს არის ჩვენი ყისმათი: ფული გვაქვს, უსაგნო ზიზილ-პიპილა მხატვრობაში ვაძლევთ; ცოდნა გვაქვს და ენა გვიჭრის, ერთმანერთის ლანძღვაში და კინკლაობაში გამოვიყენებთ; თვალს ავახელთ მხოლოდ იმისათვის, რომ ჩვენი სასარგებლო საგანი ვერა დავინახოთ-რა, ერთი ერთმანერთს თავზე კაკალს ვამტვრევთ და ელიზე რეკლიუმ საქვეყნოდ მოსდო ჩვენი სიმხეცის ამბავი, ყოვლად უსამართლოდ და სიცრუითა და ჩვენს მცოდნეთა ხმა ვერ ამოუღიათ, თუმცა ფრანციზულის ენის მცოდნე ბევრი იპოვება.

ჩემო თადეოზ, მართლის თქმისათვის არ მოელის მრისხანებასა.

შენი სფირიდონ ჩიტორელიძე.

21 გიორგობის თვეს.
ძაუჯი-ყაუ.

სოფია. დიდის ვეზირის ნოტამ, რომელშიაც გამოცხადებული იყო, რომ ოსმალეთისა და რუსეთის შორის მეგობრული განწყობილებაა და რომ უეჭველად უნდა ამოირჩიოთ სამეგრელოს თავადი ნიკოლოზი კანდიდატადო, დიდი მოქმედება იქონია ბოლგარიაში, თუმცა მმართველები ბოლგარიისანი ცდილობდნენ დაემშვიდებინათ მკვიდრნი და დაერწმუნებინათ, რომ არც ეგრე დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ნოტას, როგორც თქვენ გგონიათო.

ლონდონი. დედოფალმა პრინც ალექსანდრე ბატტენბერგს ინგლისური ორდენი «ბანი» უბოძა.

პარიჟი. იმის გამო, რომ ვერავინ ამოირჩიეს გარეშე საქმეთა მინისტრად, ამ სამინისტროს დროებით რჩევის თავ-მჯდომარე გობლე განაგებსო.

30 ნოემბერი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა საერო განათლებისამ, იუსტიციის სამინისტროს გამგებელმა და უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორმა მოილაპარაკეს გუშინ და დაადგინეს: აღკრძალულ იქმნას სამუდამოდ ბეჭდვა კიევის გაზეთისა „Заря“-ო.

ვენა. რუსეთისა, გერმანიისა და იტალიის ელჩებმა მხოლოდ ბარათები შეუგზავნეს ბოლგარიის დეპუტატებს იმის ნიშნად, რომ თქვენ სანახავად გიეავითო; ინგლისის საქმეთა რწმუნებულმა-კი პირისპირ ინახულა ბოლგართა დეპუტაცია.

ჟურჟევო. ის გაზეთები ბოლგარიისა, რომელნიც ავრცელებენ სოფიელ გამგებელთა აზრებს, ამბობენ: ეხლა კარგი დროა, რომ მაკედონია მოვიმხროთ და ბოლგარია ან შეერთებულ სამეფოდ გამოვაცხადოთ, ან რესპუბლიკადაო. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ზემოხსენებული გამგებელნი მზად არიან რომელიმე საფათერაკო საქმე სცადონ ეხლავე, ჯერ ვიდრე იმათი ბატონობა არ დასრულებულაო.

ბერლინი. დღეს, ნაშუადღევის 3 საათზე, იმპერატორის სასახლის წინ დაიჭირეს ერთი კაცი, რომელმაც სასახლის კუთხის ფანჯარას ქვა ესროლა. 4 საათზე იმპერატორმა მოისმინა სტატს-სეკრეტრის, გრაფ ბისმარკის მოხსენება, 5 საათზე მათ უდიდებულესობას სადილი ჰქონდა.

ჟურჟევო. სოფიიდამ იუწყებიან, რომ ბოლგარიის საქმეთა ყოფა ისეთია, თითქოს სარეგენტო მთავრობას სული ებმისო. წინააღმდეგ ოსმალეთისა, რომელიც ცდილობს სამეგრელოს თავადის კანდიდატობამ უთუოდ გაიმარჯოს, ბოლგარიის მმართველები ემმანუილ ვოგორიდისის კანდიდატობის სასარგებლოდ მოქმედობენ.

საკალენდარო ცნობანი

დეკემბერი 31 დღით არის.

2 დღე სამშაბათი. წინას.-მეტყ. ამბაკომისა, ღირს. ეპისკ. ისე წილკნელ. კათოლ. ქალწ.-მოწ. ბიბიანისა. სომეხ. წმ. კორნელის ასის-თავისა, სვიმონ, ნათესავისა ქრისტესი და სხ. მუსულ. მე-20 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1304 წ. ჰიჯრისა. სამეგრელოს მთავარი თავადი გრიგოლ დადიანი რუსეთის ქვეშევრდომი შეიქმნა, 1803 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—54—55. ტფილისში მზე ამოდის 7—19, ჩადის 4—31; მთვარე ამოდის 8—13, ჩადის 9—21. მთვარე 19 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 დეკემბრიდამ 15 დეკემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3
› 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 ›
› › 2—	3½ ›
› › 3 ›	3 ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	5 ›
მე-2 ხარისხისა . .	4 ›
მე-3 — . . .	3½ ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
‹ 2 ›	6 ›
სუკი	13 ›
ცხვრის ხორცი . . .	7 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	6 ›
› 2 ›	5 ›

განცხადებანი

სასტუმრო „გრანდ-ოტელი“ ქ. ქუთაისში.

მაქვს პატივი გამოვუცხადო პატივცემულ საზოგადოებას როგორც ქუთაისის მკვიდრთა, აგრეთვე მგზავრთაც, რომ ქ. ქუთაისში 1887 წლის 1 იანვრითგან ემართავ სასტუმროს, რომელიც ყველაფრით მშვენივრადა და კარგად იქმნება მოწყობილი. სასტუმროსთან „ნომრები“ და „ბესეტკები“-ც მექმნება სუფთად მოწყობილი „პრუჟინის მატრასით“ და ამასთან ბალიც. ნომრის ქირა სამი აბაზითგან ხუთ მანათამდე იქმნება დღეში. სულ 40 „ნომერი“ მექმნება. სასტუმროში მექმნება ბილიარდი, სასადილო; ყოველ-დღე მოვამზადებ საუზმეს, სადილს და ვახშამს. მსურველს შეუძლიან ერთად შემომიკვეთოს სადილი, ან ვახშამი რამდენისამე კაცისათვის, რადგან საკმაო ჭურჭელი მექმნება. ჩემი სასტუმრო იქმნება ქ. ქუთაისის შუაგულში.

დავით ბეჟანის ძე ჩხიკვაძე

დაიბეჭდა და ისყიდება გამომცემლის ზ. პ. გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ГРУЗИНСКАЯ РѢЧЬ

или начальный курсъ грузинскаго языка для русскихъ, შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან. ფასი 35 კაპ.

იქვე ისყიდება „ქართული ქრისტომატია“ უმცროსს კლასებში სახმარებელი. მიხ. ნასიძისა. ფასი 70 კაპ.

ვინც დაიბარებს ნაღდს ფულზედ არა ნაკლებ ათი ეგზემპლიარისას პირდაპირ გამომცემლისაგან, მას მანათზე 20% დაეთმობა. (10—9)

ОТКРЫТА ПОДПИСКА
на общественно-литературную газету
„СѢВЕРНЫЙ КАВКАЗЪ“
1887 годъ
(III изданія)·

Условія подписки съ доставкой:

1 годъ — — 5 р 50 коп.
½ — — — 3 р. — —
¼ — — — 1 р. 75 коп.

Адресъ: Ставрополь Кавказ, редак. газеты «СѢВ. КАВКАЗЪ» редакторъ-издатель *Д. Евсѣевъ*. (5—1)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1887 ГОДЪ
НА
ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ, ХУДОЖЕСТВЕННЫЙ, ЛИТЕРАТУРНЫЙ, СЕМЕЙНЫЙ ЖУРНАЛЪ

БЕЗЪ ДОСТАВКИ
на 1887 годъ
5 РУБ.

„РАДУГА“
V-Й ГОДЪ ИЗДАНІЯ.

съ доставкой и пересылкой гг. иногороднымъ
на 1887 годъ
6 РУБ.

Чутко прислушиваясь къ требованіямъ русской интеллигентной публики, Редакція „РАДУГИ“ постоянно и внимательно стараясь усовершенствовать свое изданіе, достигла, наконецъ, въ 1886 году такого успѣха, какимъ до сихъ поръ не могъ похвалиться ни одинъ издаваемый въ Россіи журналъ. Подписка на 1886 году была такъ сильна, что Редакція въ началѣ года не была въ состояніи сразу удовлетворить всѣхъ подписчиковъ, и вынуждена была выпустить четыре изданія, т. е. четыре раза допечатывать всѣ вышедшіе уже номера, чтобы имѣть возможность удовлетворить большой наплывъ вновь поступающихъ подписчиковъ и, несмотря на все это, уже въ серединѣ года, Редакція была поставлена въ необходимость заявить въ газетахъ, что она оставляетъ за собою право прекратить дальнѣйшій пріемъ подписки, на 1886 годъ, такъ какъ отъ всѣхъ четырехъ изданій, къ тому времени, осталось только нѣсколько десятковъ экземпляровъ. Такое усиленное требованіе на „РАДУГУ“, слѣдовательно, доказываетъ, насколько соотвѣтствуетъ журналъ духу времени, насколько онъ удовлетворяетъ общей надобности и вкусу.

Русская періодическая печать почти единогласно признала успѣхъ „РАДУГИ“,—успѣхъ достигнутый громадными и постоянными жертвами со стороны Редакціи, идущей неуклонно впередъ по разъ намѣченному пути, и поставившей себѣ цѣлью,—дать возможность всякому, за низкую плату, пользоваться хорошимъ, всестороннимъ и притомъ изящнымъ журналомъ.

Въ настоящее время „Радуга“ уже не нуждается въ рекламѣ, она проложила себѣ дорогу, и можетъ гордиться сознаніемъ—что не только въ Россіи, но даже заграницей не существуетъ другаго журнала, который за такую малую цѣну далъ бы такую массу разнообразнаго матеріала, такъ много безплатныхъ литературныхъ и музыкальныхъ приложеній и сверхъ всего, такую прекрасную безплатную премію, какую даетъ своимъ подписчикамъ „Радуга“.

ВЪ „РАДУГѢ“ ПРИНИМАЮТЪ УЧАСТІЕ СЛѢДУЮЩІЕ, ХОРОШО ИЗВѢСТНЫЕ РУСС ОЙ ЧИТАЮЩЕЙ ПУБЛИКѢ, ЛИТЕРАТУРНЫЯ ИМЕНА:

Н. П. Аксаковъ.
Вл. Александровъ.
В. П. Бефани.
П. П. Бобровъ.
Р. гарднеръ.
И. П. Деспотули.
Д. С. Дмитріевъ.
М. К. Іогель.
В. А. Крыловъ (Александровъ).
Н. С. Лѣсковъ.
А. Н. Майковъ.
Д. Д, Минаевъ.
И. М. Невѣжинъ.
Вл. Ив. Немировичъ-Данченко,
Л. И. Пальминъ.
Я. Паперъ
Н. А. Потѣхинъ.
А. Плещеевъ.
Л Ретюнская.
Князь Сумбатовъ (Южинъ)
В. Статкевичъ-Добрыва.
Ник. Угрюмовъ.
Фальковскій.
С. Н. Филипповъ.
П. В. Флотовъ.
Н. А. Чаевъ.
С. А. Юрьевъ.
М. Яронъ.
П. М. Θеодоровъ (редакторъ "Новаго Времени"). Н. и другіе.

Въ 1887 году будитъ продолжать участвовать лучшія литературныя силы, число которыхъ постоянно увеличивается.

Въ портфелѣ Редакціи находится масса, полныхъ живѣйшаго интереса, романовъ, повѣстей, разсказовъ, драматическихъ сочиненій и т. д., предназначенныхъ къ напечатанію къ «Радугѣ» 1887 года, между прочими слѣдующія:

„Татьяна Тулузина“ большой романъ М. К. Іогеля. Продолженіе романа „Слѣпцы“.
„Подъ шумъ большаго города“. Эскизы столичной жизни С. Н. Филиппова.
„Мятежникъ“ Фотограф. негативъ В. П. Бефани.
„Репьевы“. Повѣсть И. Деспотули.
„Купріяновъ и Полушкинъ“. Набросокъ карандашемъ В. П. Бефани.
„Исторія Смѣха“. Юмористическій очеркъ Н. П. Аксакова.
„Тоска по Идеалу“. Романъ И. П. Деспотули.
„Савва Ильичъ“. Комедія фарсъ въ 4 дѣйствіяхъ —продолженіе пьесы „Разрушеніе Помпеи“ Д. А. Мансфельда.
„Бѣдокурка“. Комедія въ 4 дѣйствіяхъ П. М. Невѣжина и много другихъ.

Въ «Радугѣ» 1887 года, по примѣру прошлаго года, будутъ помѣщены нѣсколько премированныхъ ребусовъ.

Укрѣпляя такимъ образомъ за „РАДУГОЙ“ пріобрѣтенную ею репутацію самаго всесторонняго, самаго полнаго еженедѣльнаго иллюстрированнаго, семейнаго журнала Россіи, Редакція вмѣстѣ съ тѣмъ и въ 1887 году не ограничится тѣмъ составомъ, которымъ „Радуга“ до сихъ поръ отличалась передъ другими подобными журналами, а

дасть въ 1887 году, къ существующимъ уже еще одно новое безплатное приложеніе, а именно:

ЮМОРИСТИЧЕСКІЙ АЛЬБОМЪ РАДУГИ

здоровый, безобидный юморъ, анекдоты, юмористическіе разсказы, приключенія, шутки и т. д. со множествомъ иллюстрацій въ текстѣ къ разсказамъ и анекдотамъ.

ТАКИМЪ ОБРАЗОМЪ, КАЖДЫЙ ПОДПИСЧИКЪ РАДУГИ ПОЛУЧИТЪ ВЪ ТЕЧЕНІИ ГОДА:

50 №№ журнала „Радуга“
25 №№ журнала „Сцена и Аккордъ“
12 №№ журнала „Салонъ“.
12 №№ журнала „Парижскія Моды“.
6 №№ журнала „Дачная жизнь“.
25 №№ нотъ (около 50 піесъ въ годъ).

И СВЕРХЪ ВСЕГО ЭТОГО СОВЕРШЕННО БЕЗПЛАТНО РОСКОШНУЮ ПРЕМІЮ,

ДЕНЬ И НОЧЬ.
(АЛЛЕГОРІЯ).

Великолѣпная олеографическая картина, художественно-исполненная въ лучшемъ артистическомъ заведеніи заграницей, Подписчики „РАДУГИ“ хорошо знаютъ, какъ щедра Редакція на свои премьи. Она не жалѣетъ средствъ, чтобы доставить своимъ подписчикамъ лучшее, что только существуетъ въ этомъ родѣ. За преміи предъидущихъ годовъ Редакція получила множество признательныхъ отзывовъ и благодарственныхъ писемъ, а о преміи 1886 года „Юдноь“ былъ общій отзывъ, что „такой преміи еще не было“. Премія же 1887 года

„ДЕНЬ И НОЧЬ“

превосходить далеко даже премію 1886 года, и мы смѣло можемъ сказать, что и въ этомъ отношеніи мы внѣ конкурренціи: лучшей преміи даже трудно себѣ представить. Премія эта будетъ совершенно безплатная, и ни за пересылку по почтѣ, ни за упаковку Редакція никакой дополнительной платы не потребуетъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА 1887 ГОДЪ:

Безъ доставки въ Москвѣ	5 руб.
Съ доставкой въ Москвѣ и пересылкой во всѣ города Россійской Имперіи, считая и упаковку, и пересылку и страховыя преміи .	6 „
Заграницу съ пересылкою	8 „
На ½ года съ доставкою и пересылкою во всѣ города Россійской Имперіи	4 руб.;
На три мѣсяца	2 „

Подписка принимается во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ Россіи. Въ С.-Петербургѣ въ отдѣленіяхъ Конторы Редакціи „РАДУГИ“ 1) при книжномъ магазинѣ ФЕНУ и К-,°, на невскомъ проспектѣ близь Пассажа; 2) при конторѣ Ф. Петрикъ, Невскій пр. № 8,

Гг. *иногородные подписчики адресуютъ прямо въ Редакцію журнала „РАДУГА“*, Москва, *Столешниковъ переулокъ, домъ Карзинкина.*

Допускается разсрочка подписной платы: при подпискѣ 2 руб., 1-го марта 2 руб., 1 іюня 1 руб. и 1-го сентября 1 руб.

Гг. служащіе могутъ подписаться за ручательствомъ своихъ казначеевъ съ разсрочкой при подпискѣ 1 руб.—затѣмъ, остальныя деньги ежемѣсячно по 50 коп.

(5—1) Редакторъ **Д. А. Мансфельдъ.** Издатель **Л. Метцль.**

Дозв. ценз. Тиф. 1 декабря, 1886 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე